

შპს „ოაზისი 9“

2024 წლის ფინანსური ანგარიშგება

შპს "ოაზისი-9"			
საქმიანობის შედეგების ანგარიშგება			
		ერთეული: 1 GEL	
	საანგარიშგებო პერიოდი		შენიშვნა
	2024	2023	
ნეტო ამონაგები	1003481	1428845	3.6
მ.შ. - საქონლის გაყიდვიდან			
- მომსახურების გაწევიდან	1003481	1428845	
- სამშენებლო ხელშეკრულებებიდან			
- სხვა ამონაგები			
გაყიდვების თვითღირებულება		-60583	
საერთო მოგება	1003481	1368262	
სხვა საოპერაციო შემოსავალი			
დასაქმებულთა ანაზღაურება	-56107	-55896	
ცვეთა/ამორტიზაციის ხარჯი	-188815	-320097	
საპროცენტო შემოსავალი	68098	1515	
საპროცენტო ხარჯი			
იჯარის ხარჯი	-8633	-12499	
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-906263	-194562	3.7
სულ საოპერაციო ხარჯები	-1091720	-581539	
საოპერაციო მოგება	-88239	786723	
გაუფასურების ხარჯი/აღდგენა			
მ.შ. - ფინანსური აქტივების			
- მარაგების			
- სხვა არაფინანსური აქტივების			
წმინდა შემოს./დანაკ. უცხ. ვალუტით ვაჭრ. და სავალ. სახ. გადაფ.	-272862	-23348	
მიღებული დივიდენდები	72500	67000	
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	7177170	70063	3.8
მოგება/ზარალი მოგების გადას. ხარჯამდე განგრძ. ოპერაციებიდან	6888569	900438	
მოგების გადასახადის ხარჯი			
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი	6888569	900438	3.9
სხვა სრული შემოსავალი/ზარალი			
ძირითადი საშუალებების (მ.შ. ბიოლ. აქტივების) გადაფასების რეზერვი			
სხვა (მ.შ. წილი ერთ. და მეკავ. საწ. უძრ. ქონების გადაფ. რეზ.)			
სხვა სრული შემოსავალი/ზარალი, სულ:			
მთლიანი სრული შემოსავალი/ზარალი	6888569	900438	
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	9324087	10044086	
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ში კაპიტალის გაზრდა/შემცირება)			
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-7809761	-1620124	
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	-1	-313	
კაპიტალის სხვა ცვლილებები	-863158		
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	7539736	9324087	
ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 30.09.2025 წ.			
დირექტორები: _____		ზ. იაკობიძე	
_____		დ. მიმინოშვილი	
თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.			

შპს "ოაზისი-9"		
ფულადი ნაკადების ანგარიშგება		
	ერთეული:1 GEL	
	საანგარიშგებო პერიოდი	
	2024	2023
ნეტო ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	-1516700	1048562
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები	10464102	540398
ნეტო ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	-8672919	-1620124
ნეტო ფულადი სახსრების შემოსვლა/გასვლა წლის განმავლობაში	274483	-31164
სავალუტო კურსის ეფექტი	-275041	-801
ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში	3198	35163
ფულადი სახსრები პერიოდის ბოლოს	2640	3198
ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 30.09.2025 წ.		
დირექტორები: _____	ზ. იაკობიძე	
_____	დ. მიმინოშვილი	
თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.		

2024 წლის ფინანსური ანგარიშგების

განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ნაწილი

1.1. შპს „ოაზისი 9“ (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას. კომპანია დარეგისტრებულია „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად 1996 წლის 29 მაისს საბურთალოს რაიონის სასამართლოს მიერ, რეგისტრაციის ნომერი 5ა/4-206. მისი საიდენტიფიკაციო ნომერია – 211322736, იურიდიული მისამართი – საქართველო, თბილისი, კოსტავას ქ., N37-39, საოფისე ფართი N602. ფაქტობრივი მისამართი ემთხვევა იურიდიულ მისამართს.

კომპანია დარეგისტრებულია დღგ-ის გადამხდელად.

1.2. კომპანიის მფლობელები 2024 წლის ბოლოს მდგომარეობით:

შპს „ინო გრუპი 24“, ს/ნ 404734356 - 50% წილის მფლობელი;

შპს „ლეტიცია“, ს/ნ 404734249 - 50% წილის მფლობელი.

კომპანიის დირექტორები არიან: ზაალ იაკობიძე (პ/ნ 01024010547) და დავით მიმინოშვილი (პ/ნ 01024003651).

1.3. კომპანიის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა არასაცხოვრებელი შენობების გაქირავება და მართვა. არასაცხოვრებელი შენობები, რომელთა ფართები ქირავდება ან განკუთვნილია გასაქირავებლად, მდებარეობს თბილისში, კოსტავას ქუჩაზე). არაძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა საოფისე სარემონტო სამუშაოები.

1.4. კომპანიას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჰყავს მეკავშირე საწარმო – შპს „ბიჯი ოილი“ (საიდენტიფიკაციო ნომერი - 402029719), რომლის კაპიტალში ეკუთვნის 50%, 2020 წლის 28 მაისიდან.

1.5. კომპანიის დასაქმებულ თანამშრომელთა საშუალო რიცხვი 2024 წელს შეადგენდა 11 კაცს. ბუღალტრულ აღრიცხვას ხელშეკრულების საფუძველზე აწარმოებს მომსახურე აუდიტური ფირმა.

1.6. წესდების მიხედვით, საანგარიშგებო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

2. მომზადების საფუძველი და გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. 2017 წლის 1 იანვრიდან დაწყებული, კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს მსს ფასს-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის) მიხედვით. ამასთან, კომპანია წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. აღნიშნული კანონიდან გამომდინარე, კომპანიას არ ევალება წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

2.2. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი - დარიცხვის მეთოდი დაცულია. სააღრიცხვო შეფასებები და ძირითადი დაშვებები მუდმივად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება და შედეგების ასახვა ხდება პერსპექტიულად, ანუ იმ პერიოდში, როდესაც მოხდა სააღრიცხვო შეფასების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

2.3. გათვალისწინებულია მსს ფასს-ის ძირითადი დაშვება – ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელის, რომ მინიმუმ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, კომპანიის 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2.4. 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, გამოყენებულია ამ თარიღის მდგომარეობით მოქმედი მსს ფასს.

2.5. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე).

2.6. კომპანიის მიერ გამოყენებულია შემდეგი სააღრიცხვო პოლიტიკა:

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება საქონლის და მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით, დარიცხვის მეთოდის შესაბამისად.

რეალიზებული საქონლის უკან დაბრუნება და ფასდათმობა აღიარებულია შემოსავლის შემცირების გზით, გაყიდვების აღიარებასთან ერთად.

საეჭვო მოთხოვნების აღიარება

კომპანიის საეჭვო მოთხოვნების სიდიდე განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული დებიტორული დავალიანების შესწავლის გზით. თუ დებიტორული დავალიანების წარმოშობიდან გასულია 3 წელი ან მეტი, ეს წარმოადგენს წინაპირობას მისი 100%-იანი გაუფასურებისათვის, თუმცა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ხდება დამატებითი განსჯა, საჭიროა თუ არა მოთხოვნის გაუფასურების ანარიცხის აღიარება (მათ შორის, 3 წლამდე ნაკლებ ვადაში).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო ღირებულებას:

(ა) თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას;

(ბ) გამოკლებული ძირი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები;

(გ) მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ; და

(დ) გამოკლებული, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშების გამოყენებით).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებსაც არ გააჩნია ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, დაკავშირებული არ არის ისეთ შეთანხმებასთან,

რომელიც ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს და კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, თავდაპირველად შეფასდება არადისკონტირებული ღირებულებით. აქედან გამომდინარე, მათზე არ ვრცელდება ზემოაღნიშნული (გ) პუნქტის მოთხოვნა.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების, ან ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უნდა განისაზღვროს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე დაყრდნობით, რომელიც მას გააჩნია საწყისი აღიარებისას. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით:

(ა) ფინანსური აქტივის (ვალდებულების) ამორტიზებული ღირებულება არის მომავალში მისაღები (გადასახდელი) ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულება, რომელიც დისკონტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით; და

(ბ) პერიოდის საპროცენტო ხარჯი (შემოსავალი) ტოლია მოცემული პერიოდის ეფექტური საპროცენტო განაკვეთისა და ფინანსური ვალდებულების (აქტივის) საბალანსო ღირებულების ნამრავლის, რომელიც მას ჰქონდა პერიოდის დასაწყისში.

გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის სამუშაო ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება სამუშაო ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშდება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება სამუშაო ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის

გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დასაქმებულ პირთა გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით.

მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ჩამოწერა ხდება სპეციფიკური იდენტიფიკაციის მეთოდის საშუალებით, თუ ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, ხოლო სხვა შემთხვევებში - საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდის გამოყენებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს კომპანიისთვის წარმოადგენს ფული სალაროში და ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

გრძელვადიანი აქტივები

ა) ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და არამატერიალური აქტივების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ბ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთისათვის გამოიყენება წრფივი მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გამოყენება დაიწყო დანიშნულებისამებრ, კომპანიის მიერ დასახული მიზნების შესაბამისად.

გ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთა ხდება საბალანსო და ნარჩენ სალიკვიდაციო ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით. თუ კონკრეტული ძირითადი საშუალებისთვის ან საინვესტიციო ქონებისთვის ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩაითვლება ნულის ტოლად, ხოლო თუ სასარგებლო სამსახურის ვადა არ არის

დადგენილი, ცვეთის დარიცხვა ხდება შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთების მიხედვით:

შენობა-ნაგებობები -	25-40 წელი;
მანქანა-დანადგარები -	8-10 წელი;
კომპიუტერული ტექნიკა -	4 წელი;
სხვა საოფისე აღჭურვილობა -	5 წელი;
სხვა ძირითადი საშუალებები-	2-5 წელი.

დ) არამატერიალური აქტივების ამორტიზაციისათვის გამოიყენება:

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა და ეს ვადა განსაზღვრულია, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი მათი სასარგებლო სამსახურის ვადის შესაბამისად;

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთათვისაც შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა ცალსახად განსაზღვრული არ არის, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით - 10%.

2.7. 2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა სადაზღვევო კომპანიებისა, რომელთათვისაც ეს დებულება ძალაშია 2024 წლის 1 იანვრიდან, და ზოგიერთი სხვა გამონაკლისისა (ფინანსური დაწესებულებები: ბანკები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და დადგენილი წესით რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები; აგრეთვე, სათამაშო აპარატების სალონის მოწყობის ან/და სისტემურ-ელექტრონული ფორმით აზარტული თამაშობების ორგანიზატორი პირებისა).

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი, არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები (გარდა იშვიათი გამონაკლისი შემთხვევებისა, მაგალითად - ისეთი შვილობილი საწარმოების არსებობისას, რომლებიც არ არიან მოგების გადასახადით დაბეგვრის „ესტონურ მოდელზე“).

საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი არის 15% (საბანკო დაწესებულებების, საკრედიტო კავშირების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და სესხის გამცემი სუბიექტებისათვის - 20%).

2.8. წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის სამუშაო ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

2.9. გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.8068 ლარი; 1 EUR=2.9306 ლარი.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.6894 ლარი; 1 EUR=2.9753 ლარი.

საშუალო სავალუტო გაცვლითი კურსი შეადგენდა:

2024 წელს: **1 USD=2.7208 ლარი; 1 EUR= 2.9440 ლარი.**

2023 წელს: **1 USD=2.6279 ლარი; 1 EUR=2.8416 ლარი.**

3. ფინანსური ანგარიშგების მუხლების განმარტებითი შენიშვნები

3.1. ფული და ფულის ეკვივალენტები:

	ნაშთი 31.12.2024 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით
ნაღდი ფული სალაროში	11	
ლარი საბანკო ანგარიშებზე	2608	3197
აშშ დოლარები საბანკო ანგარიშებზე	21	1
სულ:	2640	3198

3.2. საინვესტიციო ქონება - მიწა:

	ნაშთი 31.12.2024 წ. მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2023 წ. მდგომარეობით
მიწა ისნის რაიონში	3902169	3902169
„გრატოს“ შენობის წილხვედრი მიწა	160576	159146
მიწა თაბუკაშვილის ქუჩაზე		200300
სულ:	4062745	4261615

საინვესტიციო ქონება - შენობა-ნაგებობები:

	ნაშთი 31.12.2024 მდგომარეობით	2024 წელი ზრდა ან შემცირება	2024 წელი დარიცხული ცვეთა	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით
„გრატოს“ შენობა კოსტავას ქუჩაზე (ადმ. ნაწილის გარეშე)	3179864	237213	-191953	3134604
სასტუმროს შენობა თაბუკაშვილის ქუჩაზე	0	-1404708	0	1404708
სულ:	3179864	-1167495	-191953	4539312

2024 წლის მაისში კომპანიამ გაყიდა მისი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საინვესტიციო ქონება - სასტუმრო თაბუკაშვილის ქუჩაზე, რომელიც ექსპლუატაციაში შევიდა 2016 წელს. სასტუმროს გაყიდვა მოხდა მასში არსებულ ძირითად საშუალებებთან და ინვენტართან ერთად.

3.3. ძირითადი საშუალებები:

	ნაშთი 31.12.2024 მდგომარეობით	2023 წელი ზრდა ან შემცირება	2023 წელი დარიცხული ცვეთა	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით
„გრატოს“ შენობის ადმ. ნაწილის წილხვედრი მიწა	1431			1431
„გრატოს“ შენობის ადმ. ნაწილი	4976	2356	0	2620
ძალოვანი, თბოტექნიკური და ტურბინული მოწყობილობები, დიზელ-გენერატორები	0	-90123	0	90123
ოფისის აღჭურვილობა და ინვენტარი	1750	-76973	-647	79370
სხვა ძირითადი საშუალებები	0	-1315	0	1315
სულ:	8157	-166055	-647	174859

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით, ძირითადი საშუალებების მიმართ გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

2024 წლის მაისში, თაბუკაშვილის ქუჩაზე სასტუმროს გაყიდვის გამო, მოხდა ამ სასტუმროში არსებული კომპანიის ძირითადი საშუალებების გაყიდვა სასტუმროს ახალ მფლობელზე.

ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ერთიანი დაგროვილი ცვეთის თანხა წლის ბოლოს შეადგენდა:

2024 წლის ბოლოს - 1678196 ლარს;

2023 წლის ბოლოს - 2650230 ლარს.

3.4. ინვესტიცია მეკავშირე საწარმოში:

ამ მუხლში ასახულია ინვესტიცია 2024 წლის ბოლოს 957030 ლარის ოდენობით მეკავშირე საწარმოს - შპს „ბიჯი ოილი“-ს კაპიტალში, რომელშიც შპს „ოაზისი 9“-ს ეკუთვნის 50%. ინვესტიცია აღიარებულია მისი თვითღირებულებით, შპს „ბიჯი ოილი“-ს წილის შესყიდვისას წინა მესაკუთრისთვის გადახდილი თანხის ოდენობით.

3.5. ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ:

ეს მუხლი შედგება 2024 წლის ბოლოს დირექტორებზე გასაცემი ხელფასის ვალდებულებისაგან - **418550** ლარი (ეს ვალდებულება წარმოშობილია იმ პერიოდში, როდესაც არ ხდებოდა სავალდებულო საპენსიო დაზღვევის შენატანების დაკავება და დარიცხვა).

3.6. ნეტო ამონაგები

2023-2024 წლებში, კომპანიის ნეტო-ამონაგები მთლიანად შედგებოდა საიჯარო შემოსავლებიდან და იჯარით გაცემულ ფართებში ჩატარებული სარემონტო სამუშაოებისათვის მოიჯარეებისაგან მიღებული კომპენსაციებისაგან:

	2024 წელი	2023 წელი
საიჯარო შემოსავლები	1003481	1368262
სარემონტო სამუშაოების კომპენსაცია		60583
სულ:	1003481	1428845

3.7. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები (გარდა სხვა მუხლებში განცალკევებულად ასახული შრომის ანაზღაურების, იჯარის, პროცენტების, ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯებისა):

	2024 წელი	2023 წელი
საშუამავლო მომსახურება	-419520	-33896
საკომუნიკაციო ხარჯები	-4407	-13512
კომუნალური ხარჯები	-28589	-55882
საკონსულტაციო და აუდიტის ხარჯები	-15814	-12000
ქონებისა და მიწის გადასახადები	-41496	-50207
მოთხოვნების გაუფასურების ხარჯები	-368905	-70
საბანკო ხარჯები	-1111	-1165
საექსპლუატაციო ხარჯები და რემონტი	-18942	-19564
სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	-7479	-8266
სულ:	-906263	-194562

3.8. სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი:

	2024 წელი	2023 წელი
მიღებული პირგასამტეხლოები	1003	1413
მოგება საინვესტიციო ქონებისა და მს-ეების გაყიდვიდან	7176341	68661
სხვა გაუთვალისწინებელი შემოსავალი	43	383
საურავები	-64	-390
სხვა გაუთვალისწინებელი ხარჯი	-153	-4
სულ:	7177170	70063

3.9. მოგება-ზარალი და საკუთარი კაპიტალი:

2024 წელს მიღებული იქნა 888569 ლარი მოგება, რაც დაახლოებით 7,5-ჯერ მეტია, ვიდრე 2023 წელს მიღებული მოგება. ეს ზრდა განაპირობა საინვესტიციო ქონებისა და ძირითადი საშუალებების გაყიდვამ (გარიგების საერთო ღირებულება იყო 10560717 ლარი დღგ-ის ჩათვლით, ანუ 8949760 ლარი - დღგ-ის გარეშე).

2024 წლის ბოლოს მოხდა დივიდენდების განაწილება, განაწილდა არსებული მოგების ნაწილი - 7809761 ლარის ოდენობით. მოგების გადასახადის ხარჯი არ წარმოშობილა, რადგან დივიდენდები მიიღეს პარტნიორებმა - საქართველოს რეზიდენტმა იურიდიულმა პირებმა.

2024 წელს ასევე მოხდა წესდებით დადგენილი კაპიტალის შემცირება, ხოლო შემდეგ ახალი შენატანების განხორციელება კომპანიის პარტნიორების მხრიდან. საბოლოოდ, 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის საკუთარი კაპიტალი შედგება შემდეგი თანხებისაგან:

წესდებით განსაზღვრული კაპიტალი – 428774 ლარი;

გაუნაწილებელი მოგება – 7110962 ლარი.

სულ – 7539736 ლარი.

3.10. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები:

დამფუძნებლის/დირექტორის წინაშე არსებული სახელფასო ვალდებულებები წინა პერიოდებიდან:

	ნაშთი 31.12.2024 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით
გასაცემი ხელფასი (ზ. იაკობიძე)	209275	209275	209275
გასაცემი ხელფასი (დ. მიმინოშვილი)	209275	209275	209275
სულ:	418550	418550	418550

ეს სახელფასო ვალდებულება მოდის იმ პერიოდიდან, როდესაც არ არსებობდა სავალდებულო საპენსიო დაზღვევის შენატანების მარეგულირებელი კანონმდებლობა.

3.11. სასამართლო დავები:

კომპანიას 2024 წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი სახის სასამართლო დავები არ ჰქონდა.

3.12. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2025 წლის 1 იანვრიდან 30 სექტემბრამდე პერიოდში, კომპანიის ეკონომიკურ საქმიანობაში სხვა საყურადღებო მოვლენები არ მომხდარა.

3.13. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება


წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილი და გამოსაცემად ნებადართულია 2025 წლის 30 სექტემბერს კომპანიის მენეჯმენტის მიერ. კომპანიის ხელმძღვანელობას უფლება აქვს შეცვალოს ფინანსური ანგარიშგება გამოშვების შემდეგ.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო თარიღი			შენიშვნა
	31.12.2024	31.12.2023	31.12.2022	
აქტივები				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	2640	3198	35163	3.1
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	147597	397653	152620	
ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	191	837	513051	
მ.შ. - გრძელვადიანი სესხები				
მარაგები			2002	
მ.შ. - მზა პროდუქცია				
- სხვა			2002	
საინვესტიციო ქონება	7242609	8800927	8961297	3.2
სხვა მოკლევადიანი აქტივები	11	4	4	
ბიოლოგიური აქტივები				
მ.შ. - თვითღირებულების მოდელით				
- გადაფასების მოდელით				
გუდვილი				
სხვა არამატერიალური აქტივები				
ძირითადი საშუალებები	8157	174859	232051	3.3
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში				
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	957030	957030	957030	3.4
სხვა გრძელვადიანი აქტივები				
სულ აქტივები	8358235	10334508	10853218	
ვალდებულებები				
საიჯარო ვალდებულება				
მ.შ. - ფინანსური იჯარის (ლიზინგის) გრძელვადიანი ნაწილი				
სავაჭრო ვალდებულებები	166939	172107	164657	3.5
ანარიცხები				
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	418550	418707	418762	
საგადასახადო ვალდებულებები	141129	123894	153680	
გამოუმუშავებელი შემოსავალი	91881	295713	72033	
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები				
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები				
მიღებული გრანტები				
მ.შ. - გრანტებიდან წარმოქმნ. გრძელვადიანი ვალდებულებები				
სხვა ვალდებულებები				
სულ ვალდებულებები	818499	1010421	809132	
საკუთარი კაპიტალი				
კაპიტალი (სააქციო კაპიტალი, საპაიო კაპიტალი)	428774	1291932	2912056	
საემისიო შემოსავალი				
გამოსყიდული საკუთარი აქციები				
გაუნაწილებელი მოგება/ დაგროვილი ზარალი	7110962	8032155	7132030	
გადაფასების რეზერვი				
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები				
სულ საკუთარი კაპიტალი	7539736	9324087	10044086	
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	8358235	10334508	10853218	
სულ მოკლევადიანი აქტივები	150439	401692	702840	
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	818499	1010421	809132	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 30.09.2025 წ.

დირექტორები:  ზ. იაკობიძე

დ. მიმინოშვილი

თანხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

საქმიანობის შედეგების ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო პერიოდი		შენიშვნა
	2024	2023	
ნეტო ამონაგები	1003481	1428845	3.6
მ.შ. - საქონლის გაყიდვიდან			
- მომსახურების გაწევიდან	1003481	1428845	
- სამშენებლო ხელშეკრულებებიდან			
- სხვა ამონაგები			
გაყიდვების თვითღირებულება		-60583	
საერთო მოგება	1003481	1368262	
სხვა საოპერაციო შემოსავალი			3.7
დასაქმებულთა ანაზღაურება	-56107	-55896	
ცვეთა/ამორტიზაციის ხარჯი	-188815	-320097	
საპროცენტო შემოსავალი	68098	1515	
საპროცენტო ხარჯი			
იჯარის ხარჯი	-8633	-12499	
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-906263	-194562	
სულ საოპერაციო ხარჯები	-1091720	-581539	
საოპერაციო მოგება	-88239	786723	
გაუფასურების ხარჯი/აღდგენა			3.8
მ.შ. - ფინანსური აქტივების			
- მარაგების			
- სხვა არაფინანსური აქტივების			
წმინდა შემოს./დანაკ. უცხ. ვალუტით ვაჭრ. და სავალ. სახ. გადავ.	-272862	-23348	
მიღებული დივიდენდები	72500	67000	
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	7177170	70063	
მოგება/ზარალი მოგების გადას. ხარჯამდე განგრძ. ოპერაციებიდან	6888569	900438	3.9
მოგების გადასახადის ხარჯი			
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი	6888569	900438	
სხვა სრული შემოსავალი/ზარალი			
ძირითადი საშუალებების (მ.შ. ბიოლ. აქტივების) გადაფასების რეზერვი			
სხვა (მ.შ. წილი ერთ. და მეკავ. საწ. უძრ. ქონების გადაფ. რეზ.)			
სხვა სრული შემოსავალი/ზარალი, სულ:	6888569	900438	
მთლიანი სრული შემოსავალი/ზარალი			
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	9324087	10044086	
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ში კაპიტალის გაზრდა/შემცირება)			
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-7809761	-1620124	
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	-1	-313	
კაპიტალის სხვა ცვლილებები	-863158		
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	7539736	9324087	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 30.09.2025 წ.

დირექტორები:

ზ. იაკობიძე

დ. მიმინოშვილი

თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.


ფულადი ნაკადების ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL


	საანგარიშგებო პერიოდი	
	2024	2023
ნეტო ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	-1516700	1048562
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები	10464102	540398
ნეტო ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	-8672919	-1620124
ნეტო ფულადი სახსრების შემოსვლა/გასვლა წლის განმავლობაში	274483	-31164
საგალოუტო კურსის ეფექტი	-275041	-801
ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში	3198	35163
ფულადი სახსრები პერიოდის ბოლოს	2640	3198

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 30.09.2025 წ.

დირექტორები:



ბ. იაკობიძე



დ. მიმინოშვილი

თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.